

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2013 წლის ანგარიში


თბილისი, 2013 წელი

- *სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #399 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”.


საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია. კერძოდ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებებთან ერთად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, საზედამხედველო ორგანოები და მათი ვალდებულებები.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა:



სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის #305 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 საშტატო ერთეული. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულთა გენდერული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

გენდერული მონაცემები, 2013წ



- *სტატისტიკური მონაცემები და ტიპოლოგია*

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენდნენ:

- ფინანსური ინსტიტუტები: კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები.


- არაფინანსური ინსტიტუტები: ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირები (მათ შორის, სამორინეები); ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები; ნოტარიუსები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევა საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას, სალიზინგო კომპანიები და ადვოკატები.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. 2013 წელს სამსახურში შემოვიდა 129 922 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 5778 ფორმა საეჭვო გარიგების

(ოპერაციის) თაობაზე, ხოლო 124 144 კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ.


გასული წლების ანალოგიურად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ - 83099 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 1129 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 12683 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 998 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ - 58, მათ შორის, 1 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; საბროკერო კომპანიების მიერ - 18, მათ შორის, 13 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ - 224, მათ შორის, 3 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ - 13241; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ - 73, მათ შორის 18 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; არასაბანკო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ - 59 ანგარიშგების ფორმა, ნოტარიუსების მიერ - 4608, მათ შორის, 48 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; სამორინეების მიერ - 157, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მიერ - 45, სალიზინგო კომპანიების მიერ 133 ანგარიშგების ფორმა, საბაჟო სამსახურის მიერ - 2812 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ – 12712 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 3568 საეჭვო ანგარიშგების ფორმა.


გრაფიკულად 2013 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წელს საფინანსო სისტემის მთლიანი აქტივების 91% საბანკო სექტორზე მოდის. შესაბამისად, საფინანსო სექტორიდან მოწოდებულ ანგარიშგებათა მთლიან რაოდენობაში ყველაზე მაღალი წილი – 76% კომერციული ბანკების მიერაა წარმოდგენილი.

შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:







თავის მხრივ, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2013 წლის 31 დეკემბრისათვის მოიცავდა: 21 კომერციულ ბანკს, 19 საკრედიტო კავშირს, 66 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 14 სადაზღვევო და 8 საბროკერო კომპანიას, 3 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 33 ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს, 501 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს და 4 სალიზინგო კომპანიას.



კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2013 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა: 273 ნოტარიუსს, 257 აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობ პირს, 37 აუდიტორულ კომპანიას, 20 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო).



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გასულ წლებთან შედარებით 2013 წელს შემოსული ინფორმაციის საერთო მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:



აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაგრძელდა გასულ წლებთან შედარებით კომერციული ბანკებიდან საეჭვო გარიგებების ამსახველი ანგარიშგებების რაოდენობის კლების ტენდენცია, რაც განპირობებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ინტენსიური კონსულტაციებით შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებთან. საანგარიშო წლის მანძილზე მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან გაგრძელდა მეთოდოლოგიური საკონსულტაციო შეხვედრები, სემინარები, გამოიცა სხვადასხვა მეთოდური მითითება, რათა მომხდარიყო მონიტორინგის განმახორციელებელი პირების რესურსების ოპტიმალური გამოყენება საეჭვო გარიგების გამოვლენის მიმართულებით რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა საეჭვო გარიგებების შესახებ ანგარიშგებებში მოცემული ინფორმაციის ხარისხობრივ სრულყოფას და სამსახურში გამოგზავნილი საეჭვო გარიგებების ამსახველი ანგარიშგებების რაოდენობის ოპტიმიზაციას.


საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება მონიტორინგის განმახორციებელ პირებთან, ამ უკანასკნელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, გაიმართა შეხვედრები იმ ფინანსურ და არაფინანსურ ინსტიტუტებთან რომლებიც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად 2012-2013 წლებში დარეგისტრირდნენ სამსახურში როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირები (სალიზინგო კომპანიები, აუდიტორები და დამოუკიდებელი ბუღალტრები). 2013 წლის 4-6 ივნისს თბილისში სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ორგანიზებით კომერციული ბანკების წარმომადგენლებისათვის გაიმართა სემინარი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთაშორისო სანქციები“. სემინარში მონაწილეობდნენ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების იმპლემენტაციაზე მომუშავე ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

საანგარიშო წლის მანძილზე მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური

მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს გადასცა 55 საქმე, მათ შორის 51 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ხოლო 4 ტერორიზმის დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წლებთან შედარებით 2013 წელს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყურება:

გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა



საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან დამატებით გამოთხოვილი და სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების ძირითადი ტენდენცია, რომელიც მოიცავს თაღლითური, არაავტორიზებული გზით მოპოვებული თანხების სხვადასხვა იურისდიქციებში გატარების და მათი ლეგალიზების მცდელობას.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თაღლითობის ზემოხსენებულ სქემაში ჩართულები არიან ძირითადად საქართველოში მყოფი აფრიკის კონტინენტის ქვეყნების მოქალაქეები. ამ პირების მიერ ხდება რამდენიმე იურიდიული პირის დაფუძნება და ამ კომპანიების ანგარიშების გახსნა სხვადასხვა კომერციულ ბანკებში. ამ ფირმების აბსოლუტური უმრავლესობის ანგარიშებზე არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი აქტივობა ან, ხშირ შემთხვევაში, მათი ანგარიშები უმოძრაოა.

კომპანიის რეგისტრაციისა და ანგარიშის გახსნის შემდეგ მათ მცირე ხანში უცხოეთიდან ერიცხებათ სხვადასხვა სიდიდის თანხები. გადმომრიცხავების ადგილმდებარეობა არ შემოიფარგლება ერთი ქვეყნით ან ერთი რეგიონით. ჩარიცხვის შემდეგ მცირე დროში (შესაძლოა იმავე დღესვე) კომპანიის დამფუძნებლის მიერ ხდება თანხის განაღდება, ხოლო იმ ბანკს, რომელშიც განთავსებულია მსგავსი კომპანიის ანგარიში, რამდენიმე დღეში შესაძლოა მოუვიდეს შეტყობინება გადმომრიცხავი ან

მოკორესპონდენტო ბანკისგან, იმის თაობაზე, რომ ჩარიცხული თანხის წარმომავლობა თაღლითურია და მოთხოვნა ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნების შესახებ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანხის ჩარიცხვა, როგორც წესი, ჰაკერული ქმედებების შედეგია და შეტევის ძირითადი ობიექტები არიან ის იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც თავიანთ ბანკებს დავალებებს აძლევენ დისტანციური მომსახურების გამოყენებით. არის შემთხვევები, როდესაც თაღლითების მიერ ხდება ლეგიტიმური კომპანიის ინვოისის ან ბლანკის გაყალბება და ამის შედეგად ამ კომპანიის კუთვნილი ფულის გადმორიცხვა საქართველოში. პირველი ეტაპის წორედ თაღლითურად მოპოვებული თანხების საქართველოს საფინანსო სისტემაში განთავსებას მოიცავს.

თაღლითური სქემის შემდეგი ეტაპია თანხების დანაწილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპანიის ანგარიშიდან ბენეფიციარის მიერ გამოტანილი თანხა ნაწილდება რამდენიმე პირზე (აბსოლუტური უმრავლესობა ამ შემთხვევაშიც საქართველოში მყოფი აფრიკის კონტინენტის ქვეყნების წარმომადგენლებია).ზემოაღნიშნული პირები სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემების გამოყენებით განაღდებულ და დანაწილებულ თანხებს აგზავნიან ძირითადად აფრიკის კონკრეტულ ქვეყანაში. ხშირ შემთხვევებში სხვადასხვა ჯგუფების მიერ გაგზავნილი თანხების ადრესატი ერთი და იგივე პირია.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვარაუდს თაღლითურად ჩარიცხული ნაღდი ფულის ე.წ. „გადამგზავნი ჯგუფისთვის“ გადაცემის შესახებ, ამყარებს თანხების ოდენობა, რომელთა ნაღდი სახით განთავსება და საზღვარგარეთ გადაგზავნაც ხორციელდება აფრიკული წარმოშობის პირების მიერ დროის მცირე მონაკვეთში, რომელიც ზოგჯერ ქრონოლოგიურად თაღლითურად ჩარიცხული თანხის განაღდებას მოსდევს ხოლმე. ამ ეტაპით სრულდება თანხების კონსოლიდირება უცხო ქვეყანაში.

2013 წლის განმავლობაში გამოიკვეთა იურიდიული პირების რეგისტრაციისა და ბანკებთან ურთიერთობის პროცესში საქართველოს მოქალაქეების ჩართვის ტენდენცია ანუ აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები ურთიერთობას ამყარებენ საქართველოს მოქალაქეებთან და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ სთავაზობენ დააფუძნონ კომპანია, გამოიტანონ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა და გადასცენ მათ. ამით თაღლითურ სქემაში მონაწილე პირები ცდილობენ უშუალოდ არ გამოჩნდნენ ტრანზაქციების განხორციელებისას.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მსგავსი ტენდენციების გამოკვეთისა და სათანადო ინფორმაციის ანალიზისთანავე ყველა შესაბამის შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს და, ამასთან, სამსახურის მხრიდან მოხდა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის, როგორც ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი ნაწილის გამტარებისთვის, სათანადო სახელმძღვანელო მითითებების მიწოდება.

- *ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა*


საანგარიშო წლის მანძილზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან - საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების შედეგად საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თანამშრომლობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის 2013 წლის 16 მაისს ხელი მოეწერა „სამართალდამცავ სფეროში უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს. აღნიშნული მემორანდუმის მიზანია დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება კოორდინირებული, ოპერატიული და მოქნილი უწყებათშორისი თანამშრომლობის გზით.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციის პირობებში მონაწილეობს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმარებასა და იმპლემენტაციის პროცესში. საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამუშაო ჯგუფის, ასევე ევროკავშირის შესაბამისი საშემფასებლო მისიის ექსპერტებთან შეხვედრებში.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2013 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 43 შეკითხვა. უცხოელ კოლეგებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაეგზავნა 31 შეკითხვა.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2011–2013წწ.



საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს 31 ქვეყნის ანალოგიურ სამსახურთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ მემორანდუმი.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეობით საქართველოს დელეგაციამ 2013 წლის მანძილზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) გეგმიური პლენარული სხდომების მუშაობაში და ეგმონტის კომიტეტისა და მისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

- ***საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა***

2013 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებულად გაგრძელდა მუშაობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფის მიმართულებით.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, გავრცელდა ადვოკატებზე. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ადვოკატი, იმ შემთხვევაში თუკი ეს არ ეწინააღდეგება ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოს დაცვის პრინციპს, ვალდებულია, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების შესაბამისი ფორმა მიაწოდოს სსიპ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ხოლო ეს უკანასკნელი აწვდის სათანადო ინფორმაციას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. ადვოკატების მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ განისაზღვრა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბერს #352 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათშორისი საბჭო და დამტკიცდა საბჭოს დებულება. უწყებათაშორისი საბჭოს მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისათვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია 2014-2017 წლებისათვის. აღნიშნული საბჭოს საქმიანობის შედეგად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის #236 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი იმპლემენტაცია და მათ საფუძველზე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეროვნული სისტემის სრულყოფა.

აღსანიშავია ასევე, რომ 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით #1460-Iს რატიფიცირებულ იქნა ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (2005 წლის 16 მაისის ვარშავის კონვენცია).

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, 2013 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს #1267 (1999) და #1988 (2011) რეზოლუციების საფუძველზე) რეზოლუციების საფუძველზე. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად შედიოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა.

- *ტრენინგები და სემინარები*

2013 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები განაგრძობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2013 წლის 25-26 აპრილს კიევში გამართული სუამ-ის კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომაში;
- 2013 წლის 4-6 ივნისს თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის ორგანიზებით მოწყობილ სემინარში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთაშორისო სანქციები“;
- 2013 წლის 25-27 ივნისს ბათუმში გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის (UNODC ROCA) მიერ სუამ-თან ერთობლივად ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში „სამართლებრივი უერთიერთდახმარების გაუმჯობესება ფულის გათეთრების გამოძიებებისა და ქონების მოძიების საკითხებზე“;
- 2013 წლის 1-3 ოქტომბერს კიშინაუში გამართულ რეგიონალურ სამუშაო შეხვედრაში „სასამართლო განაჩენის გამოტანა ფულის გათეთრების დანაშაულებზე“;
- 2013 წლის 9-11 ოქტომბერს სტრასბურგში ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის და ეგმონტის ორგანიზებით გამართულ ტიპოლოგიების ერთობლივი ჯგუფის შეხვედრაში;
- 2013 წლის 15-16 ოქტომბერს კიევში სუამ-ის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომაში კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- 2013 წლის 18-22 ნოემბერს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა“.
- 2013 წლის 27 ნოემბერს მინსკში ჩატარებულ მე-3 რეგიონალურ კონფერენციაში „გარდამავალ ეკონომიკებში კორუფციული შემოსავლების ლეგალიზაციის ტიპოლოგია და ანალიზი“.